<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია

დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ

საქართველოს პარლამენტი:

ხელმძღვანელობს რა საქართველოს ეროვნული ინტერესებით;

მხარს უჭერს რა საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და საერთაშორისო საზოგადოების საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს;

ეყრდნობა რა საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, მათ შორის, საქართველოს კანონს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“;

მიესალმება რა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას დავაზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ (II), რომელმაც დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაცია, როგორც საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის – ოკუპაციისა და ამ ტერიტორიებზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო, პასუხისმგებელია რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შემდგომ პერიოდში მომხდარ ადამიანის უფლებათა უხეშ და პერმანენტულ დარღვევებზე;

ეხმიანება რა საქართველოს პარლამენტის რეზოლუციას „რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ შესახებ“;

გამოხატავს რა ღრმა შეშფოთებას რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის – საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და პრინციპების, გაეროს ქარტიისა და ჰელსინკის დასკვნითი აქტის უხეში დარღვევის შედეგად ოკუპაციის გამო, რაც უგულებელყოფს წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს;

დიდი შეშფოთებით, ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ ეთნიკური წმენდის არაერთი ტალღისა და ეთნიკურ ქართველთა სახლების განადგურების შედეგად საქართველოს რეგიონებიდან – აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან – დევნილი ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი მოკლებულია ფუნდამენტურ უფლებას, უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნდეს საკუთარ სახლში;

ადასტურებს რა ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებისადმი, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და ძალის

არგამოყენების ვალდებულებისადმი საქართველოს ერთგულებას და ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნავს რა საქართველოს მისწრაფებას, განახორციელოს ინკლუზიური და ყოვლისმომცველი, სამშვიდობო პოლიტიკა, რათა წარმატებით მოხდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, აგრეთვე საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებთა შერიგების, ჩართულობის და მათ შორის, ნდობის აღდგენის კუთხით პროგრესის მიღწევა;

პოზიტიურად აფასებს რა ამერიკის შეერთებული შტატების ასიგნებათა კონსოლიდირებულ აქტს, რომელიც კრძალავს იმ სახელმწიფოს მთავრობის დაფინანსებას, რომელმაც აღიარა რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობა ან/და მათთან ე.წ. დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა,

1. ადასტურებს, რომ საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი აღდგენა მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაცია და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება საქართველოს კანონიერი უფლება, სტრატეგიული მიზანი და უპირველესი პრიორიტეტია.
2. ერთხმად და მტკიცედ გმობს რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის – ოკუპაციას და მათი ანექსიისკენ მიმართულ ნაბიჯებს, მათ შორის, ოკუპირებულ რეგიონებთან გაფორმებულ ე.წ. „ხელშეკრულებებს“, რომლებიც სრულად უგულებელყოფს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებსა და პრინციპებს, არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ძირს უთხრის მშვიდობასა და უსაფრთხოებას საქართველოში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სივრცესა და ფართო შავი ზღვის რეგიონში.
3. აცხადებს, რომ საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლისა და საქართველოს ოკუპირებული რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის – სეგმენტებზე რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ცალმხრივი დელიმიტაციის ნებისმიერი მცდელობა უკანონოა და უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს; ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოკუპირებულ რეგიონებში მდებარე კონკრეტული ნაწილების, მათ შორის, გაგრის მუნიციპალიტეტის სოფელ აიბღას, დე ფაქტო ანექსიისკენ მიმართული ნებისმიერი ნაბიჯი არის მიუღებელი და უკანონო და მას, საერთაშორისო სამართლის თანახმად, ვერანაირი სამართლებრივი შედეგი ვერ ექნება.
4. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, როგორც ოკუპანტ ძალას, დაუყოვნებლივ, სრულად და უპირობოდ გაიყვანოს თავისი ყველა სამხედრო და უსაფრთხოების ძალები საქართველოს ტერიტორიიდან და მოახდინოს საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის – დეოკუპაცია; სრულად შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის

შესახებ შეთანხმება, შესაძლებელი გახადოს საქართველოს ამ ორ რეგიონში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა, დაუშვას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესვლა და ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა.

5. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, გააუქმოს საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის – ე. წ. დამოუკიდებლობის უკანონო აღიარება და დე-ფაქტო რეჟიმებთან გაფორმებული ე.წ. „ხელშეკრულებები“;
6. კიდევ ერთხელ მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, მიიღოს შემზღუდავი ზომები იმ მთავრობების მიმართ, რომლებიც არღვევენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.
7. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეწყვიტოს უკანონო ქმედებები, მათ შორის, სამხედრო წვრთნები, მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების უკანონო გავლება, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უკანონო დაკავებების განხორციელება; უზრუნველყოს ირაკლი ბებუას და უკანონოდ დაკავებულ საქართველოს სხვა მოქალაქეთა დაუყოვნებლივ გათავისუფლება; გახსნას ე.წ. გამშვები პუნქტები და შესაძლებელი გახადოს ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილება; შეწყვიტოს ქართველების ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია და კულტურული მემკვიდრეობის მიზანმიმართული განადგურება და დაზიანება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში – ქართული კვალის წაშლის მიზნით; ეთნიკურ ქართველებს არ შეუზღუდოს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება; აცხადებს, რომ აღნიშნული ქმედებები ახანგრძლივებს კონფლიქტს, საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას, ხელს უშლის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გამოყენებას და უარყოფით გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, რისი შედეგიცაა დესტაბილიზაცია მთელ რეგიონში.
8. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს ეთნიკური ნიშნით ძალადობა და დანაშაულების ჩადენა საქართველოს რეგიონებში – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში – და აღმოფხვრას ნებისმიერი დაბრკოლება არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიას, დავით ბაშარულისა და ირაკლი კვარაცხელიას მკვლელობების საქმეებში დაუსჯელობის დასრულებისა და დამნაშავეების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის გზაზე.
9. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს სამშვიდობო მოლაპარაკებების ფორმატებისთვის ძირის გამოთხრა და კონსტრუქციულად ჩაერთოს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში, რომლის თანათავმჯდომარეები არიან ევროკავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია; კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების მნიშვნელოვან

უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ პრობლემებთან დაკავშირებით იპოვოს გრძელვადიანი გამოსავალი და მიაღწიოს ხელშესახებ შედეგებს მოლაპარაკებების დღის წესრიგში არსებულ ძირითად საკითხებზე; ხაზგასმით აღნიშნავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმებისა და ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის საკუთარ სახლებში ნებაყოფლობითი, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისთვის პირობების შექმნის მნიშვნელობას; ასევე ხაზგასმით აღნიშნავს ყოველთვიური ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ძირითადი პრინციპების სრული პატივისცემით, რეგულარულად და ეფექტიანად ფუნქციონირების საჭიროებას და მოითხოვს 2018 წლიდან შეჩერებული გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის უპირობო აღდგენას.

10. მნიშვნელოვნად მიიჩნევს საქართველოს მთავრობას გადაწყვეტილებას, განავითაროს დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საერთო ეროვნული ხედვა და ინკლუზიური და ყოვლისმომცველი პოლიტიკა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გადაწყვეტისა და საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები საზოგადოებების შერიგების, ჩართულობის და მათ შორის ნდობის აღდგენის კუთხით პროგრესის მიღწევის მიზნით; აგრეთვე, მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შეიმუშავოს ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია.
11. მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, გააგრძელოს აქტიური დიპლომატია და მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი საერთაშორისო დღის წესრიგში შეინარჩუნოს და მოახდინოს საერთაშორისო ძალისხმევის შემდგომი კონსოლიდაცია საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციისა და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის.
12. მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებას, დაიკავოს თანამიმდევრული, ერთიანი და გადამწყვეტი პოზიცია რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციისა და ანექსიის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რაც ერთადერთი გზაა საქართველოში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სივრცესა და ფართო შავი ზღვის რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
13. მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, დაიმოწმოს და ეფექტიანად გამოიყენოს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომსა და მის შედეგებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც საქართველოს რეგიონებში – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში – რუსეთის მიერ ოკუპაციის განხორციელებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ადმინისტრაციული პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი.
14. ადასტურებს მზადყოფნას, გააგრძელოს ინტენსიური და პროაქტიური თანამშრომლობა საკანონმდებლო ორგანოებსა და საპარლამენტო ასამბლეებთან როგორც ორმხრივ, ისე

მრავალმხრივ ფორმატებში, რათა მოახდინოს ძალისხმევის კოორდინაცია წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო სისტემისა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმების დასაცავად.